

რულოლუ შტანერი

# კარმის ბამოცხაღებები

თერთმეტი ლექციისგან შემდგარი ციკლი,  
წაკითხული კამბურგში, 1910 წლის 16-28 მაისს

GA120

თბილისი 2026

RUDOLF STEINER

# Die Offenbarungen des Karma

Ein Zyklus von elf Vorträgen gehalten in Hamburg  
zwischen dem 16. und 28. Mai 1910

Bibliographie-Nr. 120

RUDOLF STEINER VERLAG  
DORNACH/SCHWEIZ - 1992

Tbilisi 2026

წინამდებარე ციკლთან დაკავშირებით 1910წ. მარტში თეოსოფიური საზოგადოების ჰამბურგის შტომ გაავრცელა საინფორმაციო წერილი, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი ციკლის ძირითადი თემები, რომელიც მკითხველს რეალურ წარმოდგენას შეუქმნის ამ ციკლის შინაარსზე:

„ამა წლის 15-28. მაისს ჰამბურგში რუდოლფ შტაინერი წაიკითხავს მოხსენებების ციკლს თემაზე: „კარმის გამოცხადებები“. – კარმის არსი და მნიშვნელობა ცალკეული პიროვნებისთვის, ინდივიდუალობა, კაცობრიობა, დედამიწა, სამყარო. კარმა და ცხოველური სამყარო. დაავადება და ჯანმრთელობა კარმასთან მიმართებით. გამოჯანმრთელება და განუკურნებლობა კარმასთან მიმართებით. ბუნებრივი და შემთხვევითი დაავადებები კარმასთან მიმართებით. ცხოვრებისეული (უბედური) შემთხვევები კარმასთან მიმართებით. ბუნებრივი მოვლენები, ვულკანის ამოფრქვევა, მიწისძვრა, ეპიდემიები კარმასთან მიმართებით. უმაღლესი არსებების კარმა. სიკვდილი და დაბადება კარმასთან კავშირში. თავისუფალი ნება და კარმა კაცობრიობის განვითარების მომავალში.“

ვფიქრობთ, წიგნი მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება არა მარტო ანთროპოსოფიით დაინტერესებული მკითხველისთვის, არამედ ყველა იმ ადამიანისთვის, ვისაც ზოგადად აინტერესებს კარმა და ბედისწერა.

მთარგმნელი: ა. კვარაცხელია

მთ. რედაქტორი: ლ. მესხია

რედაქტორი: ხ. ნაჭყებია

Übersetzt ins Georgisch von: A. Kvaratskhelia

Redaktion: L. Mesxia, X. Natskhebia

ასოციაცია „კობიტო“

თარგმანი შესრულებულია 1992 წლის გერმანული გამოცემის მიხედვით (დორნახი, შვეიცარია).

ISBN- 978-9941-9703-2-0

## შინაარსი

პირველი ლექცია, <i>პაპურვი, 1910 წ. 16 მაისი</i> . . . . .	5
კარმის არსი და მნიშვნელობა ცალკეული პიროვნებისთვის, ინდივიდუალობა, კაცობრიობა, დედამიწა, სამყარო	
მეორე ლექცია, <i>1910წ. 17 მაისი</i> . . . . .	31
კარმა და ცხოველთა სამეფო	
მესამე ლექცია, <i>1910 წ. 18 მაისი</i> . . . . .	54
ავადმყოფობა და ჯანმრთელობა კარმის ჭრილში	
მეოთხე ლექცია, <i>1910 წ. 19 მაისი</i> . . . . .	76
გამოჯამრთელება და განუკურნებლობა კარმის ჭრილში	
მესუთე ლექცია, <i>1910 წ. 20 მაისი</i> . . . . .	93
ბუნებრივი და შემთხვევითი დაავადებები კარმის ჭრილში	
მეექვსე ლექცია, <i>1910 წ. 21 მაისი</i> . . . . .	114
ცხოვრებისეული (უბედური) შემთხვევები კარმის ჭრილში	
მეშვიდე ლექცია, <i>1910 წ. 22 მაისი</i> . . . . .	135
ელემენტარული მოვლენები, ვულკანის აფეთქება, მიწისძვრა, ეპიდემიები კარმის ჭრილში	
მერვე ლექცია, <i>1910 წ. 25 მაისი</i> . . . . .	157
უზენაესი არსებების კარმა	
მეცხრე ლექცია, <i>1910 წ. 26 მაისი</i> . . . . .	179
სიკვდილი და დაბადება კარმასთან მიმართებაში	
მეათე ლექცია, <i>1910 წ. 27 მაისი</i> . . . . .	196
თავისუფალი ნება და კარმა კაცობრიობის განვითარების მომავალში	
მეთერთმეტე ლექცია, <i>1910 წ. 28 მაისი</i> . . . . .	217
(ინდივიდუალური და საზოგადოებრივი კარმა)	
ლექციების ციკლისთვის მიკატიშება . . . . .	239
მითითება ამ გამომცემისთვის . . . . .	240
შენიშვნები ტექსტისთვის . . . . .	242
გამომცემლის მინაწერი . . . . .	248

პირველი ლექცია  
პამპურგი, 1910 წლის 16 მაისი

ლექციების ამ ციკლმა უნდა მოიცვას საკითხები სულისმეცნიერების სფეროდან, რომელსაც ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მთელი ამ დროის განმავლობაში, სხვადასხვა უწყებიდან, როგორც ის არის გავრცელებული, სულისმეცნიერება არ უნდა იყოს უბრალოდ რაღაც აბსტრაქტული თეორია, მხოლოდ დოქტრინა ან მოძღვრება, არამედ – სიცოცხლისა და სიცოცხლისუნარიანობის წყარო. იგი თავის ამოცანას სწორედ მაშინ შეასრულებს, თუ იმ შემეცნების წყალობით, რომელთა მოცემაც მას შეუძლია, ჩვენს სამშინველებში ჩაიდგება რაღაც მძლავრი, რაც გაამდიდრებს და გასაგებს გახდის ჩვენს ცხოვრებას, რაც ჩვენს სამშინველებს უფრო ენერგიულად აამოქმედებს და გააძლიერებს. ცხადია, ის, ვინც ჩვენს ამ მსოფლმხედველობას აღიარებს, საკუთარი თავის წინაშე აყენებს იმ იდეას, რომელიც ზემოთ რამდენიმე სიტყვით დავახასიათეთ, შემდეგ კი აკვირდება თანამედროვე სინამდვილეს, იმის გასაგებად, რამდენად ხელეწიფება მას ცხოვრებაში ხორცი შეასხას თეოსოფიიდან შეძენილს და ამ დროს იგი შეიძლება ნაკლებად სასიამოვნო შთაბეჭდილებამდე მივიდეს. ვინაიდან, თუ ამ ყველაფერს მუდმივად განვიხილავთ, როცა ამჟამად კაცობრიობას ჰგონია, თითქოს – „იცინა“, რაც ადამიანებს უბიძგებს ამა თუ იმ გრძნობისკენ, ან ქცევისკენ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ეს ყველაფერი ისე წარმოუდგენლად განსხვავდება თეოსოფიური ცნებებისა და იდეალებისაგან, რომ არა აქვს არანაირი შესაძლებლობა, უშუალოდ მიუსადაგოს ცხოვრებას ის, რაც მან მოიპოვა სწორედ სულისმეცნიერული წყაროებიდან. თუმცა, ეს იქნებოდა მოგლენათა მსვლელობაზე ძალზე ზედაპირული შეხედულება, ვინაიდან ამავდროულად არ ითვალისწინებენ იმას, რაც თავად უნდა ავიღოთ ჩვენი საკუთარი მსოფლმხედველობიდან იმის მეშვეობით, რისი თქმაც საკუთარი თავისთვის შეგვიძლია: თუ ჩვენ თეოსოფიის საშუალებით აღვიქვამთ იმ ძალებს, რომლებიც ოდესღაც ნამდვილად გახდება საკმარისად მძლავრი, მაშინ ისინი იპოვიან შესაძლებლობას, სამყაროს ცხოვრებაში ჩაერიონ; თუ არასდროს არაფერს გავაკეთებთ, რომ ეს ძალები სულ უფ-

რო მეტად და მეტად გაგაძლიეროთ, მაშინ სწორედ სამყაროში ჩარევა იქნება შეუძლებელი.

თუმცა, არის რაღაც სხვა, რასაც შეუძლია გვანუგეშოს, მაშინაც კი, როცა ასეთი განსჯა ჩვენში იწვევს სევდას და ეს არის ისეთი განხილვების შედეგი, როგორიც გვეძლევა ამ ციკლში და, რასაც ადამიანური კარმა და ზოგადად კარმა ეწოდება. მიმდინარე ლექციების განმავლობაში ჩვენ სულ უფრო მეტად დავინახავთ, რომ თუნდაც ვერ შევძლოთ ცხოვრებაში თეოსოფიური ძალებით შესვლის მისაღწევად საკმარისად ვიშრომოთ, როგორ შეგვიძლია ვივარაუდოთ სერიოზული რწმენითა და კარმის გათვალისწინებით, რომ კარმა თავად გამოგვიგზავნის ძალებს, რომელიც საჭიროა ჩვენთვის ახლო თუ ასევე შორეულ მომავალში. ჩვენ დავინახავთ: თუ გვეონია, რომ ჯერაც არ შეგვიძლია ჩვენი საკუთარი მსოფლმხედველობიდან მიღებული ძალების გამოყენება, მაშინ ეს ძალები ჯერ კიდევ არ გაგვიღვიძებია საკმარისად, რომ ცხოვრებაში ჩვენი შესვლა ამ ძალების დახმარებით კარმას შესაძლებლად ექცია. ამრიგად, ამ ლექციებში არ უნდა ცოცხლობდეს კარმაზე მხოლოდ შემეცნებების ჯამი, არამედ ყოველ წამს საჭიროა გამოიღვიძოს კარმისადმი სულ უფრო მეტმა ნდობამ, – რწმენამ, რომ ხვალ, ზეგ ან კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ, როცა დადგება ჟამი, კარმა მოგვიტანს ამოცანებს, რომელიც ჩვენ უნდა აღვასრულოთ, ცხადია, თუ ჩვენს მსოფლმხედველობას ვამკვიდრებთ. კარმა წარმოგვიდგება, როგორც რაღაც სწავლება, რომელიც არა მარტო გვაუწყებს იმას, როგორ ხორციელდება ესა თუ ის სამყაროში, არამედ, როგორც სწავლება, რომელსაც ჩვენთვის ახსნასთან ერთად მოაქვს ცხოვრებით კმაყოფილებაც და მისი ამაღლება.

ცხადია, თუ კარმამ ეს უნდა გააკეთოს, მაშინ აუცილებელია, უფრო ღრმად ჩავიხედოთ აქ ნაგულისხმევ კანონში, ასე ვთქვათ, სამყაროში მის გავრცელებაში. მაშინ აუცილებელი იქნება კიდევ რაღაც, რაც საერთოდ უჩვეულოა ჩემთვის სულისმეცნიერული განხილვებისას, კერძოდ – მოხდეს დეფინიცია, სიტყვების ახსნა. ჩვეულებრივ, განხილვებისას მე ვიწვევ ფაქტების ასახვას და როცა ეს ფაქტები დაჯგუფებული და დალაგებულია გარკვეული წესის მიხედვით, მაშინ ცნებები და წარმოდგენები თავისთავად წარმოიხდება. ჩვენ თუ გადავწყვეტთ, ასეთ გზას დავადგეთ, როცა უახლოეს

დღეებში მსგავს ყოვლისმომცველ საკითხებს განვიხილავთ, მაშინ გაცილებით მეტი დრო დაგვჭირდება, ვიდრე ამის შესაძლებლობა გვაქვს. ამიტომ, უკეთ გასაგებად აუცილებელია, გაკეთდეს თუ დეფინიციები არა, თუნდაც გარკვეული აღწერა იმ ცნებისა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გაგვეყვება. დეფინიციების მიზანი ხომ სწორედ იმის ათვისებაა, რასაც გულისხმობენ, როცა ამა თუ იმ სიტყვას იყენებენ. სწორედ ამ სტილში იქნება მოცემული ცნება „კარმა“, რათა ვიცოდეთ, რაზეა საუბარი, როცა ამ ლექსებში გამოვიყენებთ გამოთქმას – „კარმა“.

სხვადასხვა განხილვიდან ყოველი თქვენგანი უკვე შეიქმნის წარმოდგენას იმაზე, რა არის კარმა. ნამდვილი აბსტრაქტულია ცნება კარმაზე, როცა კარმას უწოდებენ „მიზეზობრიობის სულიერ კანონს“. კანონს, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულ მიზეზებს სულიერ სამყაროში მოსდევს განსაზღვრული შედეგი, ზემოქმედება. მაგრამ ეს იქნება კარმის აბსტრაქტული გაგება, ნაწილობრივ ძალზე შეზღუდული, თუმცა ნაწილობრივ ძალზე შორს მიმავალი. ჩვენ თუ გვესურს, ზოგადად კარმა აღვიქვათ, როგორც რაღაც მიზეზობრიობის კანონი, მაშინ მას ვაყენებთ იმის გვერდით, რასაც ჩვენ სამყაროში აღვწერთ, როგორც კაუზალობის კანონს, როგორც მიზეზისა და შედეგის კანონს. მოდით, ახლავე გავარკვიოთ, საერთოდ რა გვესმის მიზეზის კანონის ქვეშ საზოგადოდ მიღებული აზრით, როცა სულიერ ფაქტებსა და მოვლენებზე ჯერაც არ გვისაუბრია.

დღეს გარეგნული მეცნიერება ძალზე ხშირად ხაზს უსვამს, რომ მისი ჭეშმარიტი მნიშვნელობა აგებულია მიზეზობრიობის კანონის ყოვლისმომცველობაზე, რომ მას შესაბამისი მიზეზებისთვის ყველგან მოჰყავს შესაბამისი შედეგები. მაგრამ, თუ როგორ ხორციელდება ეს, ამას ადამიანები უკვე მკაფიოდ ნაკლებად იაზრებენ. ახლა კი უკვე წიგნებშიც, სადაც იგულისხმება, რომ მათში ჩადებულია ცნებები მეცნიერული და ფილოსოფიური სახით, თქვენ იპოვით რაღაც ამდაგვარ გამონათქვამს: შედეგი არის ის, რაც მოსდევს მიზეზს. – მაგრამ თუ ამბობენ, რომ შედეგი მომდინარეობს მიზეზისაგან, მაშინ უბრალოდ გვერდს უვლიან ფაქტებს და მასზე არ საუბრობენ. ვინაიდან, ჩვენ თუ მაგ., განვიხილავთ მზის სხივს, დაცემულს ლითონის ფირფიტაზე, რომელსაც

მზის სხივი ათბობს, მაშინ აქ ვსაუბრობთ გარეგნულ სამყაროში მიზეზსა და შედეგზე. მაგრამ განა ჩვენ შეგვიძლია როდისმე ვთქვათ, რომ ეს ქმედება, – ლითონის ფირფიტის გაცხელება, – მომდინარეობს მზის თბილი სხივის მოქმედებისგან? თუ მზის თბილ სხივს ეს მოქმედება ექნებოდა თავის თავში, მაშინ არ იარსებებდა ფაქტი, როცა მზის თბილი სხივი საერთოდ არ ათბობს ლითონის ფირფიტას, თუ ის მას გზაზე არ ხვდება. მოვლენების სამყაროში, უსიცოცხლო სამყაროში, რომელიც თავიდან ჩვენ გარემოცვაშია, სადაც შედეგი მოსდევს მიზეზს, ყოველთვის აუცილებელია, რომ ეს მიზეზი სამართლიანად დაკმაყოფილდეს. ამის გარეშე კი არ შეიძლება საუბარი მიზეზის შემდგომ ქმედებით გამოწვეულ შედეგებზე. – სულაც არაა ზედმეტი, რომ ჩვენ შევქმნათ ისეთი წინაპირობა, რომელიც ასე აშკარად ფილოსოფიურად და აბსტრაქტულად უღერს; ვინაიდან თეოსოფიურ სფეროში ნაყოფიერად წინსვლა თუ გსურს, საჭიროა მიეჩვიო, ზუსტად წარმოქმნა ცნებები და არა ისე დაუდევრად, როგორც ეს სხვა მეცნიერებებში ხდება.

არავის შეუძლია ისაუბროს კარმაზე, მოქმედების მხოლოდ ისეთი სახით დადგომისას, როგორსაც ადგილი აქვს ლითონის ფირფიტის სხივებით გაცხელებისას. მართალია, არსებობს კაუზალურობა, მიზეზობრიობისა და შედეგის კავშირი, მაგრამ ჩვენ ვერასდროს მივიდოდით კარმის სწორ გაგებასთან, თუ კარმაზე ვისაუბრებდით მხოლოდ ასეთ სფეროში. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვისაუბრებთ კარმაზე, თუ არის მხოლოდ შედეგსა და მიზეზს შორის კავშირი.

ახლა ჩვენ შეგვიძლია წინ წავიდეთ და შევიქმნათ კიდევ უფრო მაღალი წარმოდგენა მიზეზსა და შედეგს შორის კავშირზე. ჩვენ თუ გვაქვს, მაგ., მშვილდი, მოვიმარჯვებთ მას და ვუშვებთ ისარს, მაშინ ამ მოქმედებით დგება რაღაც შედეგი. მაგრამ გატყორცნილი ისრის ეს ქმედებაც მის მიზეზთან კავშირის შემთხვევაშიც ნაკლებად აღინიშნება სიტყვით „კარმა“, როგორც ზემოთ ვახსენეთ. ჩვენ თუ ამ მოვლენის დროს განვიხილავთ კიდევ რაღაც სხვას, მაშინ უკვე უფრო მეტად მიეუახლოვდებით კარმას, თუმცა კარმის ცნება ჯერ კიდევ არ იქნება გაგებულნი: თუ გავიაზრებთ, რომ სშირი დაჭიმულობის გამო მშვილდი დროთა განმავლობაში სულ უფრო მოეშვება, იმის მეშვეობით, რასაც აკე-